



იმისთანა წმინდა საცემში, ბეგბიღ ბეჭე-  
უბი სიფყავს, ფედილებით და ჭებებით ბუბ-  
თის გაღანა ყულა უკადრისებზე უსამაგლისია.

ბაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 22 ივნისი. 2023 წ. №72 (9603) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## სიპართლა, მხოლოდ სიპართლა!

**კულტურის სამინისტრო  
კინოცენტრში მიმდინარე  
პროცესებთან დაკავშირებით  
განცხადებას ავრცელებს** **ივ. 6 გვ.**

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

ქიდავ ერთხელ ვიპეორებ:  
ოპოზიცია არის ②  
დებრადირებული და  
გაუბედურებული!

**ზურაბ ცუსჰირია:**

ბიორგი  
ამილახვარო,  
თქვენ  
ლახვარი  
უნდა ჩასვით ⑤  
ჩვენი მომავალი თაობის  
გადაგვარების მოსურნეთ!

**დავით ქართველიშვილი:**

მივანიჭოთ მიზან  
უკრაინის ელჩის  
მოვალეობა!  
თუ აბსურდია, აბსურდი იყოს!

**ღმერთის  
მისახელი  
„უსამოგლო  
პოეტი“...** ⑦

მინა,  
ღალღალი  
მტერთა  
თანეშით,  
უფლის ნახათ  
ცვრით და  
ივით,  
განგვებს  
თქვენ რომ  
ქსანზე  
არ ეშვით, ცას  
ვერასოდეს  
ვაპატიებდი...

## ოპ, ეს ყველასთვის მომავალზე უზრუნველყოფა!

**POLITICO**

### ახალი პოლიტიკური ქრნალისტებზე თვალთვალის დასაწესებლად

ვფროკავშირს, ვროვნული უსაფრთხოების სახე-  
ლით უზრუნველყოფა თვალთვალის დასაწესებლად,  
ახალი მედიკანონის შემუშავება სურს. ამის შესახებ  
საუბარია „პოლიტიკოს“ სტატიებში, რომლის მიხედვი-  
თაც, ვფროკავშირის ელჩების მოადგილეები გუშინ საბჭოს  
შეხვედრაზე ე.წ. მწვანე შეუქის ანთემას გვეგმაგდნენ ახ-  
ალ მედიკანონის დამოუკიდებლობის, რომლის თავდაპირველი  
მიზანიც მედიის დამოუკიდებლობისა და პლურალიზ-  
მის უზრუნველყოფა იყო.

„პოლიტიკოს“ წერს, რომ ვფროკავშირის ქვეყნების  
მთავრობებს სურთ, ჰქონდეთ შესაძლებლობა, უთვალ-  
თვალთვალთ უზრუნველყონ იმის მიუხედავად, რომ კა-  
ნონმდებლები მათ მთავრობებს მოუწოდებენ ჯამუშური  
პროგრამების წინააღმდეგ მრძოლისკენ.

სტატიის თანახმად, თავდაპირველი სახით, ახალი  
კანონი მიზნად ისახავდა იმის უზრუნველყოფას, რომ  
მთავრობებს არ შეეძლებოდათ უზრუნველყონ „და-  
კავება, სანქციების დაწესება, ჩხრეკა და თვალთვა-  
ლი“ მათი წყაროების გამოსავლენად, იმ შემთხვევა-

ში, თუ ეს არ იყო საზოგადოებრივი ინტერესების ძი-  
რითადი მოთხოვნა, მათ არ უნდა განეთავსებინათ ჯამ-  
უშური პროგრამები უზრუნველყოფის აპარატურაზე, გან-  
და ცალკეული ინდივიდუალური შემთხვევებისა ან იმ  
შემთხვევაში, თუ ასეთი თვალთვალის „სენიორული და-  
ნაშაულებების“ გამოძიებისთვის არის საჭირო, რომელიც

ვეროკომისიის ტერორიზმის კატეგორიაში აქვს შეყ-  
ვანილი. მათ შორის, ადამიანებით ან იარაღით ვაჭ-  
რობა, მავნეების ექსპლუატაცია, მკვლელობა, გაუპ-  
ატიურება და სხვა.

როგორც „პოლიტიკოს“ აღნიშნავს, საზოგადოებრივი ინტერესების  
ვეროკომისიის „სენიორული დანაშაულთა“ სია ამოიღ-  
ეს, ჯამუშური პროგრამების განთავსება კი დასაშვებია  
გახდა 2002 წლის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებაში გა-  
წერილი ვფროკავშირის დაკავების ორდენის საფუძველ-  
ზე, რომლითაც 10-დან 32-მდე გაიზარდა იმ დანაშა-  
ულთა რიცხვი, რომელთაც შემთხვევაშიც, თვალთვალის  
დაშვებული იქნება. სამოქალაქო საზოგადოების 59-მა  
ორგანიზაციამ, მათ შორის RSI-მა, EDRI-მ, ღია წერი-  
ლით მიმართეს ვფროკავშირის ელჩების მოადგილეებს  
და მოუწოდეს, გადახედონ თავიანთ პოზიციას. „პოლი-  
ტიკოს“ ინფორმაციით, თუ სამჯო დათანხმდება კანონს,  
მას მოუწევს მოლაპარაკება ვფროკავშირის მხარეს, ხო-  
ლო შემდეგ ვფროკომისიისთან და მხოლოდ ამის შემ-  
დეგ იქნება შესაძლებელი კანონის ამოქმედება.



# ეს ბოლო საქართველოს აზრია!

## ირაკლი ღარიბაშვილი:

სააკაშვილმა, მისმა მოჯახვამ და ლოპოხტაძემ ზოდიში უნდა მოუხადონ ჩვენს საზოგადოებას!

სააკაშვილი არასოდეს წასულა ქართული პოლიტიკიდან, მიუხედავად მისი სამარცხვინო განცხადებებისა, რომ იგი ერთ-ერთი სასამართლო პროცესზე წარდგა როგორც უკრაინის მოქალაქე და მოითხოვა უკრაინული ენის თარგმანი, რათა ესაუბრა უკრაინულ ენაზე! ამაზე მეტი დეგრადაცია და დაცემა ქართველი პოლიტიკოსის, მით უმეტეს ყოფილი პრემიერის, მე მგონია, რომ მსოფლიოს არ უნახავს, - ამის შესახებ ურნალისტიკის პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ განუცხადა.

„საკაშვილმა რაც ჩაიდინა ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ციხეში შევიდა: მთელი ეს შოუ, მასკარადი, ციხე, თეატრი, რაც დაგვიდგა; მას შემდეგ, რაც აღვირახსნილი, ქვეყნის იმიჯის დამაზიანებელი კამპანია აწარმოა მან, მისმა ოჯახმა და ლოპოხტაძემ - ამისთვის ყოველდღე მათ უნდა მოუხადონ ბოდიში ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას. ხომ ვნახეთ ყველა, რომ ეს ადამიანი არც მოუწამლავს ვინმეს, არც კვდებოდა. ეს იყო ჩვეულებრივი, მარტივი სპექტაკლი. ამას ვუხსნიდით საზოგადოებას, რომ ეს იყო თამაში და სპექტაკლი. მას შემდეგ რაც მან საბოლოოდ მიიღო უარი სტრასბურგის სასამართლოდან, რომ დაასრულოს ეს სიმულაციები, ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ არის კარგად. მგონი უკვე არაფერს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ კითხვები აღარ რჩება. მე ვფიქრობ, რომ მისმა ლოპოხტაძემ და ევროპელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც იცავდნენ მის ამ სპექტაკლს, ბოდიში უნდა მოუხადონ ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას მიყენებული ზიანისთვის. ამ დიდ ზინძურ კამპანიას სამართლიანი და მკაფიო პასუხი გასცა სტრასბურგის სასამართლომ, რითაც დაასრულა ეს მასკარადი“, - აცხადებს მთავრობის მეთაური.

## სკოლებში, ბაღებსა და ახალგაზრდებში ლგბტ პრეკარია დაუშვებელი!

...ბანსაკომისიამ საყურადღებო იყო საფრანგეთში ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც აღმოჩნდა, რომ 22% ახალგაზრდებისა აცხადებს თავს „ელგემტედ“, რაც ვფიქრობ საგანგაშო ტენდენციაა. რა თქმა უნდა, ყველას აქვს თავისი უფლება როგორც ცხოვრების წესს აირჩევს, ჩვენ არავის საქმიანობაში, პირად ცხოვრებაში არ ვერვით, მაგრამ მეორე მხრივ, ჩემთვის ამსოფლიოებზე მიუღებელია ის ზღვარგადასული პროპაგანდა, რომელიც უცხოეთში ბაღებსა და სკოლებში მიმდინარეობს. მაღალია დემონსტრაციის, ეს ჩვენთან არ მოხდება. ჩვენ ამას დაიცავთ.

დაუშვებელი და მიუღებელია სკოლებში, ბაღებსა და ახალგაზრდებში ამის პროპაგანდა. რაც ჩვენ ვნახეთ ბოლო დღეებში, რომ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სარესტორნო ქსელ „მაკდონალდსში“ მიმდინარეობდა. ეს არის ამორალური და მიუღებელი კამპანია. ჩვენ მოვისმინეთ განმარტებები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენთვის მიუღებელია ის პასუხი, რომ თურმე ეს არის გლობალური კამპანიის ნაწილი და ის, რომ ჩვენთანაც უნდა



მივიღოთ, ასე არ მოხდება და ვფიქრობ, მისასაღმებელია ის, რომ საზოგადოების რეაქცია იყო საკმაოდ მძაფრი და ადეკვატური“.

## კიბერუსაფრთხოება - საქუნიის მთავარი გამოწვევა!

...მოგახსენებთ, რომ კიბერუსაფრთხოება არის 21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევა და, ზოგადად, კიბერგანზობილება თანამედროვე ცივილიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების ორგანული ნაწილი გახდა. მას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აქვს კრიტიკული მნიშვნელობა, ისევე როგორც საჯარო და კერძო სექტორის ყოველდღიური საზრუნავი გახდა ბოლო პერიოდში. ჩვენი ქვეყნის, როგორც ეკონომიკური ჰაზის ფუნქციის ერთ-ერთ ნაწილს ციფრული ჰაზის როლიც წარმოადგენს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ვავითარებთ შესაბამის ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიურ კავშირებს ევროპასთან. ეს ფორუმზე ამ თემისადმი მთავრობის ყურადღების ერთ-ერთი გამოხატულებაა.

რაც შეეხება კიბერუსაფრთხოების როლს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში, ამაზე მინდა, რამდენიმე სიტყვით მოვმართოთ - ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, სავანმანათლებლო სისტემა, სახელმწიფო სერვისები, მთავრობის საქმიანობა თუ რიგითი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ციფრულ ტექნოლოგიებთან.

ჩვენ კარგად ვაქვს გააზრებული და, შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, ისე ბიზნესისა თუ მთლიანად საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. კიბერუსაფრთხოება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და მთავრობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს როგორც ერთიანი ძალისხმევით, ისე ჩვენს პარტნიორებთან, დონორებთან თანამშრომლობის მიმართულებით.

## არც ერთ ევროპულ სახელმწიფოში არ არის დაშვებული სურობაშია!

...მე მოგახსენებთ ძალიან ბევრი პრობლემის შესახებ, რომელიც არსებობს და რომელიც უკავშირდება სურობის საკითხებს. ჩვენ გამოვივლიეთ და შევისწავლეთ თანამედროვე, განვითარებული ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება, აღმოვაჩინეთ, რომ არც ერთ განვითარებულ, ევროპულ სახელმწიფოში არ არის დაშვებული სურობაშია.

ჩვენ მიდგომა შევცვალეთ, ასევე სხვა ჰიბრიდული მაგალითებიც დავამუშავეთ და მოვედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი არის ჩაიკეტოს და აეკრძალოს უცხოელ მოქალაქეებს საქართველოს მოქალაქეების გამოყენება სუროგატ დედებად, რადგან უკონტროლოდ ხდება ეს პროცესი, არავითარი რეგულაცია არ არსებობს ამ მიმართულებით, ხდება ბავშვების გაყვანა და ა.შ. ძალიან ბევრი რისკი ახლავს ამ პროცესს.

ჩვენ არ ვიცით, ეს ბავშვები სად მიჰყავთ, რა მიზნით მიჰყავთ. ამიტომ, ეს კითხვები რომ დავაზღვროთ, ჩვენ არ გვაქვს მანდატი, ჩვენი მანდატი არ ვრცელდება ამ ბავშვებზე, მათ მომავალზე. ჩვენ ვმოქმედებთ პასუხისმგებლობით. ამიტომ გამოვივლიეთ ინიციატივით, რომ სუროგაცია დაშვებული იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის, რადგან ძალიან ბევრი წყვილი, მაგალითად უშვილო წყვილები მიმართავენ ამ მეთოდს და მიმართავენ, რომ ეს არის სწორი გადაწყვეტილება. იმედი მაქვს, პარლამენტი განიხილავს ამ კანონს და მხარს დაუჭერს!

## არ დაშვებულა ქალაქობა ჩვენს არც ერთ მოქალაქეში!

„ხალხის ძალის“ განცხადება არ წარმოადგენს მმართველი პარტიის განცხადებას, ძალიან დიდი განსხვავებაა ხშირად ჩვენს პოზიციებში, სწორედ ამიტომ მოხდა მათი გამოცხადება ჩვენთან. ასე რომ, მე პასუხი არ მაქვს ამ თემაზე...

„რამდენად მისაღებია არის ლგბტ პროპაგანდა ბავშვებში?! დასავლეთის ქვეყნებში ლგბტ პროპაგანდა მიმდინარეობს აქტიურად. ამ თემაზე ჩემი პასუხი არის შემდეგი - ყოველგვარი დისკრიმინაცია, ძალადობა არის მიუღებელი, ამაზე მითქვამს არაერთხელ, ამიტომ მივიღეთ ჩვენ კანონი, ამიტომ არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ არ დავუშვებთ ძალადობას არც ერთ ჩვენს მოქალაქეზე, მათ შორის არც უმცირესობის წარმომადგენლებზე, მაგრამ ასევე არ დავუშვებთ პროპაგანდას და ძალადობას ჩვენს უმრავლესობაზე, ბავშვებზე და ა.შ. ეს არის ჩვენი პოზიცია.“

## კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ოპოზიციის არის დებარდობა და გაუხეჯობა!

პრემიერ-მინისტრს ურნალისტიკაში კითხვა დაუსვებს, ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით „ედისონ რისერჩის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვასთან დაკავშირებით. „ოპოზიციის არის დაქსაქსული, დებარდობა, გაუხეჯობა. არ მაინტერესებს, ვა არის ჩვეულებრივი სიყალბე, გაყალბებული, სასაცილო შედეგები“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

21.06.2023.

# გააღლობთ, თბილისზე ზრუნვისთვის!



## კახა კალაძე:

აკლიკაშია „ფიქს თბილისის“ მუშაობით მოქალაქეების მხრიდან აღრიხულ 621 საქითხვა მუშაობა დასრულებულია

„მომდინარე წლის 15 მაისიდან გაეშვა აპლიკაცია „ფიქს თბილისის“, რომელიც ადამიანებს აძლევს საშუალებას, აღრიხონ, გამოავლინონ კონკრეტული საკითხი, რომლის მოგვარებაც ხდება. მა-

გალითად, დაზიანებული სივრცის თუ დეტალის აღდგენა. სამუშაოდ, მეგობრა ვანდალიზმის ფაქტი და მოქალაქეების აქტივობა მნიშვნელოვანია. 15 მაისიდან დღემდე აპლიკაციის მეშვეობით მოქალაქეების მხრიდან სულ გამოვლენილია 3 386 საკითხი. მათგან 1 880 საგზაო ინფრასტრუქტურას ეხება, 272 - გარე განათების დაზიანებას, 282 - მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დაზიანებას, 952 - საპარკო ინფრასტრუქტურის დაზიანებას. საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 621 საკითხზე მუშაობა, რაც ამავე კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: საგზაო ინფრასტრუქტურა - 414; გარე განათების დაზიანება - 41; მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დაზიანება - 59; საპარკო ინფრასტრუქტურის დაზიანება - 107. ამავე პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა 1 652 საკითხზე, რაც კატეგორიების მიხედვით არის გადანაწილებული“.

კახა კალაძემ აღნიშნულ აპლიკაციაზე საუბრის დროს განმარტა სტატუსის - „დაყოვნებული“ მნიშვნელობა, რომელიც მოქალაქეების მხრიდან აღრიხულ კონკრეტულ საკითხებს ენიჭება. დედაქალაქის მერმა მოქალაქეებს მოუწოდა, აღრიხონ მხოლოდ აპლიკაციაში არსებული კატეგორიების შე-

საბამისი საკითხები, სხვა საკითხის არსებობის შემთხვევაში კი მიმართონ ცხელ ხაზს. „გარკვეული დროის შემდეგ შევძლებთ კატეგორიების დამატებას. შეიძლება, ხარვეზებში იყოს და ამასაც ვასწორებთ ეტაპობრივად. როდესაც პრობლემას აღვირახებთ, უნდა შეესაბამებოდეს იმ კატეგორიებს, რომლებიც აპლიკაციაშია მოცემული. მაღალია ყველა იმ ადამიანს, ახალგაზრდას, რომელიც ჩართულია აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში და გვეხმარება, რომ ჩვენს ქალაქზე ერთად ვიზრუნოთ“.

## მოუხედავ ბიზნესსაქმორს, დაიხსნან ნორმები და ხმაურის დასაშვებ ზღვარს არ გააქაქებო!

„ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან ერთად, მინდა, შევეხო საკითხს, რომელიც ჩვენი მოსახლეობისთვის საკმაოდ დისკომფორტის შემქმნელია. ეს არის ხმაურის დონე კერძო თუ საზოგადოებრივ სივრცეებში, რაც რთვ შემთხვევებში გამოიხატება ხმაურის დასაშვებ დონის გადაჭრებაში. ეს გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ადამიანებისთვის. კანონმდებლობის მიხედვით, საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებულ შენობაში, საზოგადოებრივ თუ საჯარო დაწესებულებაში უკ-

უსტიკური ხმაურის დასაშვებ ნორმების გადამტეხვა აკრძალულია. დასაშვებ ნორმების გადამტეხვისთვის დადგენილია შესაბამისი ზომის სანქციები, ფულადი ჯარიმები როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის. არსებული რეგულაციების მიხედვით, რიგ ადგილებში არსებულ ობიექტებზე დილის რვა საათიდან დამის 23:00 საათამდე ხმაურის გარკვეული დონის დაშვება მოქმედებს, ხოლო დამის 23:00 საათიდან დილის რვა საათამდე საერთოდ აკრძალულია ხმაური ან უფრო დაბალი დონითა დაშვებული.“

რაც შეეხება დედაქალაქში არსებულ რესტორნებს, კაფე-ბარებს, კაფეებს, ობიექტებზე ხმაურის დასაშვებ დონე დღე-ღამის ყველა მონაკვეთში არის ერთნაირად შეზღუდული და ის არ უნდა აღემატებოდეს 50 დეციბელს. ამდენად, მინდა, ვთხოვო და მოვეუწოლო ბიზნესსექტორს, ვინც ამ რეგულაციებს ექვემდებარება, დაიცვან არსებული ნორმები და არ გადააჭარბონ ხმაურის დასაშვებ ზღვარს.

აქვე, მინდა, დავავალო მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელს, ლაშა მაჭავარიანს, თქვენს უწყებასთან ერთად დაინიშნოს აქტიური მოქმედებები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რათა ეს მიმართულება იყოს მოქმედების მიმართული და ადამიანები არ შეწყუხდნენ.“





რამაზ საყვარელიძე

# პერ ელირსებით, რადიკალაბო!

## ოპოზიცია არჩევნებისთვის არ ეზადება!

ხდება და საზოგადოებამ უნდა იცოდეს საიდან შემოდის ეს ფინანსები, ვინ უწყობს ხელს ასეთ ფაქტებს, იგივე ახალგაზრდების რეკრუტირებას რეგულაციებზე, დაპირისპირებებზე. ეს ყველაფერი უნდა გახდეს საჯარო, – აღნიშნა კახა კალაძემ.

ოპოზიციის მიერ დაანონსებულ რადიკალიზმს ხელისუფლების მიერ წახალისებულ უწოდებს „გირჩის“ დეპუტატი სანდრო რაქვიაშვილი, რომლის განცხადებით, „ოცნება“ რომ ძალადობას მიმართავს, ახალი არაა – ოპოზიციის ნაწილსაც აწყობს, რადგან გამოჩნდება, რომ გვირუკი დაპირისპირება „სისხლიან რეჟიმთან“.

„ეს არის საარჩევნო კამპანიის წინა პერიოდი, რომელიც შემოდგომიდან დაიწყება, სადაც მთავარი ამბავი იქნება ურთიერთლანძღვა-გინება. „ქართულ ოცნებას“ ეს აწყობს, რადგან ლანძღვა-გინებაში მეტი რესურსი გააჩნია, გაიმარჯვებს ამ მრძოლაში, რადგან არაფერ ილაპარაკებს ამ ფონზე რაიმე მნიშვნელოვან თემაზე. მეორე მხრივ ოპოზიციის ნაწილსაც აწყობს, რადგან გამოჩნდება, რომ რაღაც გვირუკი დაპირისპირება მიდის სისხლიან რეჟიმთან, სინამდვილეში ოპოზიცია განწირული იქნება, რომ დამარცხდეს, თუ „ქართული ოცნების“ ამ თამაშს აპყვება. „ქართული ოცნება“ რომ ძალადობას მიმართავს ოპონენტების მიმართ, ახალი არაა და ასეა დიდი ხანია, მათი ხელისუფლებაში მოსვლის-თანავე იყო ძალადობის კონკრეტული ეპიზოდები“, – ამბობს სანდრო რაქვიაშვილი.

ოპოზიცია პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და მიაჩნიათ, რომ ძალადობა გასულ კვირას წახალისა ირაკლი კობახიძის და მამუკა მდინარაძის მიერ დიდის გინება და აგრესია, რაც მათივე შეფასებით მხარდაჭერებში გააგრძელეს. ოპოზიციამაც აცხადებენ, რომ ეს არის კარგად ორგანიზებული ჯგუფი და ამას ადასტურებს შეკვეთილი ძალადობა, რომლის სათავეში დგანან ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ძალები.

ასე არ ფიქრობენ ანალიტიკოსები, რომელთა შეფასებით, ჯაფარიძის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე რეგულარულად მიდიოდა საუბარი წინააღმდეგობის გაწევის მეთოდებზე.

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალი“ წარმომადგენელი დავით ქართველიშვილი აცხადებს, რომ რეგულაციური მუხის, ან „მადანიბაციის“ მზადება აქტიურად დაიწყო ჯერ კიდევ 2022 წლიდან. უკრაინის ომის პარალელურად მოხდა საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა, რამაც აშშ-ს წინაშე დააყენა ხელისუფლების უფრო მეტად კონტროლის ქვეშ აყვანის აუცილებლობა, სადაც აშშ-ს ინტერესები საქართველოს ინტერესებზე უფრო პრიორიტეტული იქნებოდა.

მისი თქმით, პროცესები საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და ქართული რადიკალური ოპოზიციის მონაწილეობით პერიოდულად იმდებდა და ბოლო ორი წლის განმავლობაში ამაში აქტიურად იყენებენ ახალგაზრდებსაც.

მაგალითად, აშშ-მ გამოყო გრანტი და შექმნა „სავანანათლებლო სფერო“ („ფრანკლინის კლუბი“, „გირჩის“ ბანაკი), სადაც ახალგაზრდებს და სკოლის მოსწავლეებს უკითხავენ ლექციებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ პრეტენციის დროს, ასევე, გარკვეულ გარემოებებში აჩვენებენ ნეგატიური კუთხით. იქ არ ეუბნებიან, რომ ხელისუფლება ცუდია, იქ ეუბნებიან, რომ ცუდია რაღაც გარემოება.

როგორც ქართველიშვილი ამბობს, 2021

**ახლა ქვეყნის „აუირავების“ დაწყებას აქვს მნიშვნელობა, რადგან რუსეთს სჭირდება რინეთიდან ეპროპიკანე მიმავალი სამრანზიმო ხაზის რაზმი“**

წლის დეკემბერში საქართველოში იქმნება „ფრანკლინის კლუბი“, რომელიც ორიენტირებულია ლიბერტარიანულ პოლიტიკასა და „სამოქალაქო აქტივიზმზე“. ეს ორგანიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ახალი „კარა“, თუ არა ლიბერალური ფაშობის ყველაზე მაღალი განსახიერება. „ფრანკლინის კლუბის“ ძირითადი დონორია ორგანიზაცია Atlas Network, რომელიც აშშ-ს მთავრობის დაკვეთით ამზადებს სტატიებს, აწყობს პროპაგანდისტულ ქსელებს, რამაც არაერთხელ იქნა მხილებული.

**„ორგანიზაციის სხვადასხვა პერიოდში მონაწილეობდა აპერიკული სავსასანხარკის ოპერატიული აქტივობები, გაღატაკიანობა და პროპაგანდის ნარკოპოპული, კერძოდ მათი მონაწილეობა ლადოსტარტის: ქუჩაში, ბოლივიში, ეპიკოსა და პარკში. ქუჩის მრჩეველთა საბჭოში შედიან: ლეან რამიშვილი („კარა“) შამოქაძე, „თაქისუფლების ინსტიტუტის“ ლამუქანბაილი, კონსტანტინე თოფურია (საქართველოს უნივერსიტეტი), ვამო ლეჟანი (თაქისუფალი და აპერიკული უნივერსიტეტი) რამიშვილი“.**

სწორედ სხენებული უნივერსიტეტების სტუდენტები, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, შეადგენდნენ მარტის აქციის ბირთვს, ხოლო მათი მონაწილეობა კონტროლდებოდა კონსტანტინე თოფურიას და ვატო ლეჟანის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ კლუბში გაწევრიანება ფასიანია, 100 ლარი, აღნიშნულ თანხას არ იხდის არც ერთი მსმენელი: სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, აღნიშნული პირები ავტომატურად ხდებიან გრანტის მფლობელები. მსმენელთა ძირითადი კონტინგენტი არიან სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები.

პიტერ აკერმანის მაკუნიანის ტრენინგების შემდეგ გააქტიურდა ასევე ზურა (გირჩი) ჯაფარიძე, რომელმაც დაიწყო ბანაკების ორგანიზება, სადაც მიჰყავდა სხვადასხვა ახალგაზრდები და მათ უტარებდნენ ლექციებს „სამოქალაქო აქტივიზმი“, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასა და სხვა საკითხებში. შეხვედრებზე რეგულარულად მიდიოდა საუბარი წინააღმდეგობის გაწევის მეთოდებზე, ახალგაზრდები ემზადებოდნენ „რეგულაციის-

თვის“. სხენებული შეკრებების დაფინანსება დაიწყო IRI-მ. აღსანიშნავია, რომ პროცესების ადმინისტრირებისთვის, მათ დაიწყო „ტელეგრამ არხის“ გამოყენება“, – წერს დავით ქართველიშვილი.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში დავით კუხალაშვილი აცხადებს, რომ სტუდენტები ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო დაპირისპირებას. მისი თქმით, თსუ-ს გააჩნია წესდება და თუ წესდება საკმარისი არ არის მშვიდობისათვის, რაც უნივერსიტეტს სჭირდება, მაშინ ცვლილებები უნდა შევიდეს ამ წესდებაში, რომ შენარჩუნებული იქნეს ნორმალური მიმდინარეობა სასწავლო პროცესის.

„შესმის, რომ ადამიანს აქვს თავისი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, მაგრამ ამ აზრის გამოხატვა არ უნდა ხდებოდეს სალექციო პროცესის შეწყვეტის ხარჯზე. ამიტომ, მე ვფიქრობ, პოლიტიკური დესტაბილიზაციის მართვანიზებული ჯგუფების და მათი მართვანიზებული ე.წ. მმართველობითი რგოლის ირგვლივ გასაქტიურებელი ოპერატიული საქმიანობა და თუ პროცესების შეჩერება არ მოხერხდება, ალბათ, სისხლის სამართლებრივი დევნაც კი არის დასაწყებითი“, – აცხადებს კუხალაშვილი.

მისივე შეფასებით, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების აღსრულება, რომ მშვიდობისა და წესრიგის პირობებში მიმდინარეობდეს სალექციო კურსი.

„ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რაც თსუ არ გახდეს დესტაბილიზაციის წყარო. მე მასხენდება საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდი, პრეზიდენტ გამსახურდიას ძალადობრივი დამხობის პერიოდი, 2003 წელს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის პერიოდი. ყველა ამ პროცესებში თსუ-ს პირდაპირი, ან ირიბი ჩართვის სურვილი არსებობდა და არსებობდნენ პირები, რომლებიც ასეთ პროცესებში მონაწილეობდნენ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ კუთხით აუცილებელია განხორციელდეს აქტიური მოქმედებები როგორც თსუ-ის ხელმძღვანელობის მიერ, ასევე სპეცსამსახურების და პოლიციური უწყებების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ისეთ დესტაბილიზაციის წყაროს, რომელიც შეიძლება გახდეს ქვეყანაში მასობრივი ანტიულომის და სამოქალაქო ომის წინაპირობა“, – აცხადებს საყვარელიძე.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ოპოზიცია არჩევნებისთვის ემზადება. მისი თქმით, ჯერ არჩევნებამდე ძალიან დიდი დროა და შესაბამისად, პროცესების ახლა დაწყებას აქვს მნიშვნელობა იმდენად, რომ ახლა რუსეთის სტირდება ჩაიშალოს სატრანზიტო ხაზი, რომელიც ჩინეთიდან ევროპისკენ ახლა უნდა გაკეთდეს.

„ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამ საკითხზე. ახლა მწიფდება ეს ამბავი. მით უმეტეს უკრაინის ომის ფონზე იმის შანსი, რომ რუსეთმა რაიმე შედეგებში მიიღოს სანქციების მხრივ სულ უფრო და უფრო მინიმუმზე დაყვანილი. ე.ი. რუსეთი იმდროელს ბოლომდე ამ მიმართულებით, რომ დაიბრუნოს დაკარგული სატრანზიტო ხაზები. ტრანზიტის ყოველი დაკარგული დღე ძალიან დიდი დანაკარგია, ამ ფონზე რუსეთი ცდილობს თუ რაიმე ასარევია, ახლა არიოს.“

არჩევნებისთვის რუსეთი არ იმზადებს, ის იმდენი დესტაბილიზაციისთვის, რომ საქართველოს ხაზზე გამავალი ტრანზიტო ჩაიშალოს, თორემ არჩევნებში ვის მოიყვანს ეს უკვე სხვა ტიპის საკითხია – იქ, ალბათ, კიდევ სხვა მოვლენები იქნება. ამიტომ მგონია, რომ დღეს ეს პროცესები ისევ და ისევ უკავშირდება სატრანზიტო თემას“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ძარჩავა





დავით მარტივალიშვილი.

# მივანიჭოთ მიზას უკრაინის ელჩის მოვალეობა!



Я - УКРАИНЕЦ!  
И НИКУДА ОТСЮДА НЕ УЕДУ!

## თუ აბსურდია, აბსურდი იყოს!

შპრაბნასა და საქართველოს შორის განხორციელებული, ე.წ. მომავლადგმა მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, გაყოფილება და თან ქართულ პოლიტიკაში გააქტიურება გადაწყვიტა. თუმცა, როგორ აპირებს ის პოლიტიკაში ჩართვას, როცა საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს და არც ადვოკატის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტისთვის არ მიუმართავს, უცნობია. დიდი ალბათობით, მისი ადვოკატები ამ მიმართულებით ახალ კამპანიას წამოიწყებენ და იმისაც მოითხოვენ, რომ მას მოქალაქეობა აღუდგენონ.

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ არაა გამორიცხებული, სიურპრიზის მოყვარულმა ბურაბიშვილმა მისთვის შეწყალებაზე უარს თქმის შემდეგ, მოქალაქეობის აღდგენაზე თანხმობა განაცხადოს, რაც ახალი მასკარადის წამოწყების წინაპირობა იქნება, რომელსაც ანალიტიკოსების აზრით, ხელი-სუფლება მომზადებული დახვდება, როგორც ეს მის მომავლადგმასთან დაკავშირებით მოხდა და საბოლოოდ, ყველა მცდელობის მიუხედავად, ტყუილი სტრასბურგის სასამართლომ გამოააშკარავა.

ტყუილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა – ასე აფასებს მმართველი გუნდი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პოზიციას და განცხადებას პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. მმართველ გუნდში სუამენ ვითხვას, თუ ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, რაზეც მისი გარემოცვა აქტიურად საუბრობს, როგორ აპირებს ის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას?

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, თითოეულმა ადამიანმა, რომელმაც იცოდა, რომ სააკაშვილი სიმულირებდა და მაინც ითხოვდა მის გათავისუფლებას, ბოდიში უნდა მოუხადოს ქართულ საზოგადოებას.

„საკაშვილის, დავარქვათ – „გამოვანმრთელებას“ შეიძლება ჰქონდეს 2 თერაიული მიზეზი – სასწაული, ან სტრასბურგის გადაწყვეტილება. მე მგონია, რომ მიზეზია სტრასბურგის გადაწყვეტილება. ეს იყო 600-დღიანი პოლიტიკური კამპანია, უმტკიცებდნენ საზოგადოებას და მეგობრებს დააჯერეს კიდევ, რომ ეს კაცი 600 დღის განმავლობაში ყოველდღე კვდებოდა, თან კვდებოდა ხან წამებით, ხან მოწამვლით და ა.შ. და უკვდავად აღდგინეს ხდება ჩვეულებრივად ჯანმრთელი.“

რა თქმა უნდა, ეს იყო ცარიელი სიმულაცია და სპეკულაცია. 600 დღის განმავლობაში საზოგადოებას, საერთაშორისო პარტიზონებს აჯერებდნენ, რომ სააკაშვილი კვდება – ეს უზრალოდ სინცხელია. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ბოლომდე გაიხსნა. თითოეული ადამიანისთვის, ვისაც სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი იყო მართალი, საბოლოო ჯამში, მათაც გაიხსნა, რომ ეს კაცი არის უზრალოდ მიუნჰაუზენი.

ამსოლუტურად ყველა ობიექტური დამკვირვებლისთვის იყო ცხადი, რომ სააკაშვილი სიმულირებდა. თუმცა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც, ამის მიუხედავად, ითხოვდნენ მის გათავისუფლებას, გადაყვანას და ა.შ. გახსოვთ, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციაშიც კი მოხვდა შესაბამისი ჩანაწერი. თითოეულმა ამ ადამიანმა, რომელმაც იცოდა, რომ სააკაშვილი სიმულა-

რებდა და მაინც ითხოვდა მის გადაყვანას, უნდა მოუხადოს ბოდიში ქართველ საზოგადოებას.

არავითარი შანსები სააკაშვილს არ აქვს, საზოგადოებამ დაინახა კიდევ ერთხელ მისი სახე. როდესაც კაცი სიმულანტობს 600 დღის განმავლობაში, მას რა რეიტინგი უნდა შეჩვენდეს, მე არ ვიცი. შეიძლება ჰყავს თავისი სექტის ძველი წარმომადგენლები, მაგრამ როგორ შეიძლება ამ კაცს ჰქონდეს თუნდაც მინიმალური მხარდაჭერა, ქართულ საზოგადოებაში, ამ კულტურულ საზოგადოებაში, ეს არის უზრალოდ წარმოუდგენელი. აქედან გამომდინარე, სააკაშვილი სადაც არ უნდა დაბრუნდეს, მას არავითარი შანსი არ აქვს“, – განაცხადა კობახიძემ.

„მიხეილ სააკაშვილის ადგილზე მე დავიწყებდი იმით, რომ პრეზიდენტს ვთხოვდი მოქალაქეობას“, – ამის შესახებ „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, იაკო ხვიჩიამ მიხეილ სააკაშვილის ქართულ პოლიტიკაში ჩართვისთან დაკავშირებით ურნალისტებს განუცხადა.

„მიხეილ სააკაშვილის ადგილზე, მე დავიწყებდი იმით, რომ პრეზიდენტს ვთხოვდი მოქალაქეობას. მეორე, დავიწყებდი იმით, რომ როგორც ბოდიშს ტყუილისთვის, რის გამოც ფაქტობრივად, წლიანხვერის განმავლობაში, საკუთარ მოსახლეობას სიცრუეში აცხოვრებდა. ასევე, ბოდიში უნდა მოიხადოს იმაზე, რაც წარსულში, პოლიტიკაში ყოფნის პერიოდში ჩაიდინა, პატივება სთხოვოს ხალხს, რათა ადამიანებს ჰქონდეთ იმის განცდა, თუ რა გაიხარა ამ პერიოდის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა და რა – არა“, – განაცხადა ხვიჩიამ.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთი ამსურნელი სცენარის ყურება მოგვიწევს, როცა საქართველოს მოქალაქეობის აღმქონე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში ჩართვას ცდილობს. ქართველიშვილი მიიჩნევს, რომ ამსურნელად მივიღოთ, როცა ევროპელები უცხო ქვეყნის მოქალაქე სააკაშვილზე ფსონს დებენ და მისი იმედი აქვთ.

„ეს ცირკი ნანახი გვაქვს და ახლა ახალ ფაზაში გრძელდება. წარმოიდგინეთ, კაცი ქვეყნის მოქალაქე არ არის, არის პატიმარი და სხვა საქმეებზე კიდევ ელოდება სასამართლოს დასრულებას. ნუ, რომ კვდებოდა და ახლა გაყოფილდა, უკვე ყველასთვის ცნობილია,

რა მოხდა და რას თამაშობდნენ. უზრალოდ, რატომ უნდა დადო ფსონი ასეთ ადამიანზე, რომელიც პოლიტიკურად სრულად არის გაკოტრებული. ეს კაცი საკუთარ ამომრჩევლებსაც კი ატყუებს, პატივს არ სცემს და მომავლადგვი უცხად ცოცხლდება. ეს ხომ დაცინვა და მასხრად აგდებაა. კიდევ საუბარია სხვა უკრაინულ პოლიტიკოსზე დავით არახამიამზე, რომელსაც უნდა ჩააბარონ ქართული პოლიტიკური სპექტრი.“

საქართველოს ეს ძალები, რომლებიც მივსალმებიან უკრაინაში და მოლოდინში დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვას, საქართველოში ჩვენ საზოგადოებას აქეზებენ, ეს ამსურნელი წინადადებები ნორმად მივიღოთ. მე სააკაშვილს უკრაინის ელჩის თანამდებობას მივანიჭებდი, თუკი ამსურნელს ვთამაშობთ, ბოლომდე ვითამაშოთ. უკრაინის მოქალაქე ისედაც არის, ელჩს 4 წელი მოვალეობის შესასრულებლად მაინც სჭირდება. სააკაშვილი ამ დროის განმავლობაში ციხეში იქნება და არსად არავინ არ გაიქცევა. მშვენიერი, სახელმწიფოს ხარჯზე მოწყობილი ოფისი აქვს. მე მგონი შეუზღუდავი რაოდენობა აქვს ხალხის მიღების. 1600-მდე მხარვედი შეავდა უკვე. მომავლადგვი ექსპრეზიდენტი ვიპალატაში მხარვედებს არ იკლებს“, – ამბობს ქართველიშვილი.

რაც შეეხება იმას, უნდა ველოდოთ თუ არა პრეზიდენტ ბურაბიშვილისგან მოქალაქეობის მინიჭებას, ქართველიშვილი ამბობს, რომ ქალბატონ ბურაბიშვილს სიურპრიზებისკენ მიდრეკილება აქვს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სააკაშვილსაც და არახამიასაც გაუგონარი ლოგიკით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. ამ შემთხვევაში კი, ამსურნელის მორიგ ეტაპზე გადავალთ. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება ფაქტია, ყველაფრისთვის მზად არის და სააკაშვილის გარემოცვის, ექიმების და ე.წ. ექსპერტების აფიორას წარმატებულად გაუძლო. სტრასბურგის სასამართლომ ყველას გასაგებად აუხსნა, რომ სააკაშვილი მატყუარაა.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე კი ამბობს, რომ სალომე ბურაბიშვილს მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების ექსკლუზიური უფლება არ აქვს, თუმცა სა-

ბოლო გადაწყვეტილებას მაინც ის იღებს. აბაშიძე ამბობს, რომ სააკაშვილი იმდენად უსირცხვილოა, არც ბოდიშის მოხდას აპირებს და არც იმას, რომ ბურაბიშვილს მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით მიმართოს. ამიტომ მისი ახალი თამაში, ქვეყნის შიგნით, ხალხისთვის ისევე არაფერს ნიშნავს, რადგან სააკაშვილის მოქმედებებმა აზრი დაკარგა.

„კანონით, სააკაშვილმა განცხადება ჯერ იუსტიციის სამინისტროში უნდა შეიტანოს, შემდეგ განიხილავს უსაფრთხოების სამსახური და რეკომენდაციის სახით დასკვნას პრეზიდენტს სალომე ბურაბიშვილს უგზავნის. ნუ, პრეზიდენტმა ამ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება. ამიტომ მაინც საბოლოო სიტყვა, ასეთ შემთხვევაში, ბურაბიშვილს ეკუთვნის. დაველოდოთ მოვლენებს და ვნახოთ, გამედავს თუ არა სააკაშვილი უარყოფითი ქვეყნის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნას. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ძალიან სასაცილოა.“

კომიკური ფიგურა ლევან ხაბიშვილი ვერაფერს აკეთებს. მისი ყველა გამოჩენა ხალხს ამბიარულვებს. ამიტომ გამოსავლის ძიებაში არიან. სააკაშვილსაც სხვა გზა აღარ დარჩა, სტრასბურგის სასამართლოს შემდეგ ქართულ პოლიტიკაში გააქტიურება მოუწევს. უზრალოდ, მას პარტიის მართვაში მაინც არავინ ჩარევს, ბურაბიშვილმა, ლამის, მთელი პარტია გაწმინდა. ყველგან თავის ხალხი ჰყავთ. სააკაშვილი ჰყავთ ბრენდად და იჯდეს ციხეში, ცნობისთვის უკეთესი არაა, მაგის ციხიდან გამოსვლა არავის აწყობს.

ქიდან დაწერს რაღაცებს და იტყვის ვაქტიურობა. ესენიც მის სახელს ამოფარდებიან და 2024 წელს გაკოტრებულები, მის სახელით ბარბენს მაინც გადალახავენ. სხვა, სააკაშვილის დანიშნულება არაფერია. უზრალოდ, ციხეში გადაყვანის დროც მოვიდა, წესით, გამოჯანმრთელებულია და კლინიკაში ყოფნის მიზეზი აღარც აქვს“, – ამბობს აბაშიძე.

ლიკა ბერიკაშვილი



მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის და როგორც არ უნდა დამაიზოლირონ თქვენგან პუტინისტებმა, მაინც გავიგებთ თქვენ ხმას და მოგაწვდით ჩემს ხმას, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი

## მიხეილ სააკაშვილი: შინაგარე კითხვა-პასუხის რეჟიმს...

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

როგორც მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, „ოცნება“ არის დამინების და სიძულვილის რუსული პარტია.

„ჩვენ უნდა გავგაერთიანოთ მტრის სიძულვილმა და ამავე დროს საქართველოს და ქართველების სიყვარულმა. მე აღმოვჩინდი იქ, სადაც ვარ საქართველოს მონატრების გამო, მაგრამ არც ერთი წუთით არ გამწვანებია და არ მინანია საქართველოს სიყვარული. გაიხსენეთ ჩემი პრეზიდენტობის ბოლო დღეს პრეზიდენტის სასახლეზე ავაჩვენე გულებიანი საქარ-

თველოს დროს და ამაზე მაშინვე გამოიწვია „ოცნების პროტესტი“.

გავიდა 10 წელი და ეს სიყვარული მხოლოდ გამიძლიერდა. მე მინდა, პირველ რიგში გავიგო თქვენი აზრები, თქვენი მოთხოვნები და ამის შემდეგ გავაცნობთ სამოქმედო ნაბიჯების ჩემეულ ხედვას.

ამიტომ დღევანდელი ვითარება-პასუხის რეჟიმს და როგორც არ უნდა დამაიზოლირონ თქვენგან პუტინისტებმა, მაინც გავიგებთ თქვენს ხმას და მოგაწვდით ჩემს ხმას. დიდება უკრაინას და გაუმარჯოს საქართველოს“, – წერს მიხეილ სააკაშვილი.





# ლია წერილი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრს. ბატონ გიორგი აბილახვაძეს

**ბატონო გიორგი!**

დიდი პატივისცემით მოგესალმებით და გულწრფელად გილოცავთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი მინისტრის თანამდებობაზე დანიშნვას. რადგან ქვეყნის მომავალი სწორედ განათლების სფეროში იჭედება. თქვენ, ალბათ, იმის შესვენება არ გჭირდებათ, რომ ქვეყნის ხელისძღვარი დღე იქნება ისეთი, როგორ თანამასაც ვზრდით დღეს.

ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე თქვენი დანიშნვა უფრო იმით გამოიხარდა, რომ დიდი ქართველი რაინდების ამილახვრების გვარს ატარებთ და იმედი მომეცა იმისა, რომ რაინდულად შევებებით იმ სიძნელეებს, რაც დღეს განათლების დარგის წინაშე დგას.

ბატონო გიორგი, იცით, რომ სკოლა (და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც!) იწოდებოდა და ახლაც იწოდება ღირსეულ ქვეყნებში სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად, გვექონდა და სხვებს ახლაც აქვთ სწავლებისა და აღზრდის კონცეფციები. სასწავლო და აღმზრდელობითი სისტემები.

ახლა?

ჩვენი განათლების სისტემას აქვს აღზრდის სისტემა?

ან კონცეფცია?

დამეთანხმებით, ალბათ, რომ არ აქვს! მაშ, ჩვენ არ ვიცით ვის ვზრდით? თქვენ, როგორც მინისტრი, არ მეტყვიან, არ ვიცით და მე მესმის თქვენი. ნეოლიბერალური დღის წესრიგი, რომელიც კარგა ხანია განათლების სფეროში გვკარნახობს, რომ ჩვენ ვზრდით თავისუფალ პიროვნებას, რომელიც იქნება ტოლერანტული, კრიტიკული აზროვნების მქონე, ყოველგვარი კომპლექსებისგან თავისუფალი, გლობალური ინტერესების ერთგული, კაცობრიობის განუყოფელი წევრი.

კი, არის ამ ყველაფრის განხორციელების მცდელობა გლობალური პრობლემა და და სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე, მაგრამ ყოველგვარი პროგრამებისა და

# გიორგი აბილახვაძე, თქვენ ლახვარი უნდა ჩასვთ ჩვენი მომავალი თაობის გადაგვარების მოსურნით!

კონცეფციების გარეშე, ანუ სტიქიურად მართული პროცესების მეშვეობით. თუ მართლაც, სტიქიურია, მაშინ მართალი როგორღა არისო, - შეიძლება მკითხოთ თქვენ. არის, იმიტომ, რომ საზოგადოებას არ შეუძლია გააკონტროლოს, ცალკეული ნეოლიბერალური იდეოლოგიის ადვოკატებისა, თუ სულ მერკანტილური ინტერესებით მოტივირებული სუბიექტების ინიციატივები. მაგალითად, ახლახან „კოკა-კოლას“ მფლობელმა ჯონიამ (იგივე ავტოფაშვილმა) „მაკდონალდსში“ შესულ ბავშვებსა და მათ მშობლებს დაურიგა გვიპროპაგანდისტული საბავშვო ილუსტრირებული წიგნები, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მომხდარი ფაქტის შემდეგ.

ასეთ ზნეობრივ დივერსივებს სხვაგან და სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ თითქმის აღმშფოთებელი ხელისუფლება მორიდებით სთხოვს ამ ზნეობრივ დივერსანტებს, აღარ გაიმეორონ მსგავსი მოქმედება.

რაც შეეხება ნეოლიბერალურ მიზნებსა და ამოცანებს, რაც სკოლას ნეოლიბერალურმა დღის წესრიგმა დაუწესა, საერთო არაფერი აქვს პიროვნების სოციალურ განვითარებასთან, პირიქით, დიამეტრულად ეწინააღმდეგება სოციალური განვითარების მეცნიერულ პრინციპებს და ფსიქოლოგიის დებულებებს.

**ქართველებს არავისგან ესწავლება ტოლერანტობა და შემწყნარებლობა, მეტიც! მოჭარბებულიც კი გვაქვს სტუმრისა, თუ საერთოდ, უცხოელების მიმართ პატივცემულობა და დაფასება, მაგრამ ის, რომ მოსწავლეებს ავიწყდნენ საკუთარ ვინაობასა და სადაურობას, სამშობლოს წინაშე ადამიანის უკვდავ მოვალეობას, არ ზრდიან მათში სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების გრძნობას, ეს არის უპატივებელი დანაშაული ქვეყნის აწმყოსა და მომავლის წინაშე, ნეოლიბერალების ის ყალიბი „პრინციპი“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ტრიბუნლიდან გაახმოვანა პარლამენტის იმდროინდელმა სპიკერმა უსუფაშვილმა - „მე და ჩემი მეუღლე იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენი შვილებს, სამშობლოს შესწიროს თავი, არამედ თავისუფალ პიროვნებად ვზრდით, რომლებიც შემდეგ თვითონ გადაწყვეტენ, ვის შესწირონ თავი“-ო, დამლუგებელია და პიროვნების სრული დეგრადაციისაკენ არის მიმართული.**

ამიტომ, ბატონო გიორგი, თქვენ, როგორც თქვენს რაინდულ გვარს ეკადრება, გარე თუ შიგა მტრების შექარის მიუხედავად, უნდა დაუბრუნოთ სკოლას აღზრდის მეცნიერულ კონცეფციაზე დაფუძნებული სისტემა.

**ამას გარდა, მხოლოდ თქვენ მინიჭებულ საპროფესორულ ინსტიტუტს ვერ უპაულებადყოფს პარლამენტი, თორემ კონსერვატიული პარტიამ სრულიად უხედავოდ შეიტანა პარლამენტში პიროვნების უპატივებელი კანონპროექტი ლაგოპროპაგანდის აკრძალვის შესახებ. თქვენ უნდა გააკეთოთ ეს, რათა ლახვარი ჩასვთ ჩვენი მომავალი თაობის, ანუ მთელი ერის გადაგვარების მოსურნით. ახლა მოცდის დრო აღარ არის, თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ ლახვარს, სწორედ თქვენ საგმობლად ჩაგვტოვებ!**

და კიდევ! ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მოღებულ რუსოფობიის უმძიმესი სენი, მეგრად უფრო სახიფათოა ვიდრე კორონა ვირუსის პანდემია. ამ საშიში ფსიქიკური დაავადების გავრცელებას ხელს არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს განათლების სისტემა, რაც ეფუძნება ეს სენი? ისტორიის, თანამედროვეობის, გეოპოლიტიკის ელემენტების, ისტორიული ღვაწლისა და დამსახურების, ეროვნული (როგორც ჩვენი, ისე სხვისი!) ინტერესების სრულ უცოდინრობას. თქვენი ეროვნული მოვალეობაა ხელი შეუშალოთ, არა მართო რუსოფობიის, არამედ ყოველგვარი ფობიის გამოვლინებას, იხსნათ ქვეყანა იმ სინცხვილისაგან, რომელიც არ აგვცდება მომავალში.

დარწმუნებული ვარ, ამილახვარი რაინდულად მოიქცევა, როგორც მისი დიდი გვარისშვილები იქცეოდნენ წარსულში!

**დიდი პატივისცემით,  
ზურაბ  
ცუცშირიძე,**

პედაგოგიკის დოქტორი,  
განათლების  
მეცნიერებათა  
აკადემიის წევრი,  
ღირსების ორდენის  
კავალერი  
20.07.2023 წელი  
მამ: 555 56-75-37

# ირაკლი კობახიძე: დოლიბარქიზაციის ქანონს ჯერ არ მივიღებთ!

**„ჩვენ მომავალ კვირაში ვგეგმავდით დოლიბარქიზაციის შესახებ კანონის მიღებას საბოლოო, მესამე მოსმენით, თუმცა იცით, რომ პრემიერს ჰქონდა ვიზიტი ბრიუსელში, შედგა შეხვედრები უმაღლეს დონეზე, მათ შორის შარლ მიშელთან, ევროკომისიასთან და იქ ასეთი თხოვნა იქნა დაყენებული, რომ ამ ეტაპზე ეს კანონი არ იყოს მესამე მოსმენით მიღებული. შესაბამისად, ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევთ ამ თხოვნას, მომავალ კვირაში არ იქნება მიღებული ეს კანონი, არც დეკემბრამდე მიგზნდება“**, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, მმართველი გუნდი ევროკავშირის სტრუქტურების მიერ გამოცხადებულ პოზიციას დაელოდება.

**„ჩვენ ყველა შემთხვევაში დაველოდებით დეკემბერში ევროკომისიისა და ევროპული სამტოს მიერ გამოცხადებულ პოზიციას ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენ გვინტერესებს, მოიხსნება თუ არა დოლიბარქიზაციის საკითხი, რომელიც თავის თავში გულისხმობს პერსონალიზებულ მიდგომას. მანამდე ჩვენ არ ვაპირებთ, მიგზნდეთ ამ კანონპროექტის განხილვას“**, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



# პაპიანში აპროპორტის უპენება სამხედრო ბაზის მუშაობას ხელს არ შეუშლის

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ მურტულაძე აცხადებს, რომ ვაზიანში აეროპორტის აშენება სამხედრო ბაზის მუშაობას ხელს არ შეუშლის.

როგორც ჯუანშერ მურტულაძემ აღნიშნა, არანაირი შეფერხება, არც სწავლებას და არც ბაზის ფუნქციონირებას არ შეეწყნება.

**„ჩვენ უარს არ ვამბობთ სამხედრო ბაზაზე. უმცირესი კი არა, არანაირი რისკი არ წარმოადგენს არც სწავლებებისთვის, არც ბაზისთვის. ეს ბაზა იფუნქციონირებს და ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას“**, - განაცხადა მურტულაძემ.



# ჯაბა სამუშიამ ჩინელ კოლეგებს უმასპინძლა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ლანძოუს უნივერსიტეტის (ჩინეთი) პრეზიდენტს იან ჩუნჰუასა და დელეგაციის სხვა წევრებს უმასპინძლა, - ინფორმაციას თსუს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

**„შეხვედრაზე ორი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. თსუ რექტორმა უცხოელ კოლეგებს უნივერსიტეტისა და ქვეყნის ისტორია გააცნო და გამოთქვა სურვილი თანამშრომლობის გაღრმავების.“**

**„ჩვენს უნივერსიტეტში დიდ ყურადღებას ვუთმობთ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის, კულტურისა და ენების შესწავლას, ჩვენთან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სინოლოგიის პროგრამა მოქმედებს, რომლის სტუდენტებზე ჩინეთის საელჩოს დახმარებით გაცვლითი პროგრამებით სარგებლობენ. თუმცა ჩვენ გვაქვს სურვილი ეს თანამშრომლობა გაძლიერდეს განსაკუთრებით გაცვლითი პროგრამების სახით, რათა კიდევ უფრო მეტ სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს მიეცეს შესაძლებლობა გაცვლითი პროგრამების საშუალებით გაიღრმავოს ცოდნა“**, - აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.



**„დელეგაციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს რექტორს მასპინძლობისთვის. ლანძოუს უნივერსიტეტის პრეზიდენტმა იან ჩუნჰუასმა თსუ-სა და მის რექტორს მხარდაჭერა აღუთქვა ერთობლივი სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაში და მზადყოფნა გამოთქვა სამომავლო პარტნიორობის გაღრმავებისთვის.“**

შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ თსუ-სა და ლანძოუს უნივერსიტეტს შორის ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.



გვსურს, გამოვიხევათ სხვადასხვა მიდინაობაზე და თუ სოციალურ ძალზე გოლო დღეების მანძილზე სსიპ საქართველო კინომატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (კინოცენტრი) გარშემო ატარებული საქმიანობის შესახებ უკეთესად შევხედოთ, რომელიც კავშირშია ხასიათი მიიღო და იმსახურება საზოგადოებისთვის მცდარი ინფორმაციის მიზანმიმართულად მიწოდებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორად კინოცენტრს ახივებს მნიშვნელოვან ზიანს.

**მიმდინარე რეორგანიზაცია და სამომავლო რეორგანიზაცია**

2023 წლის 10 ივნისს კინოცენტრში გამოცხადდა რეორგანიზაცია, რომელიც 12 ივლისს დასრულდება და სისტემის რეორგანიზაციის მიზანია, კინოცენტრის არსებული მენეჯმენტისა და მენეჯერული პროცესების გაჯანსაღება-გამართლება კინოცენტრისთვის და კინოს ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო რეორგანიზაცია, რომლის კონკრეტული შინაარსიც რეალურად საქმიანობის დაინტენსიფიკაციის მიზანია, რომელიც კინოცენტრის მიერ უნდა განისაზღვროს, გულისხმობს დღეს არსებულ ფინანსური მართვის სისტემაში ხარვეზების აღმოფხვრა-გაუქმების, სახელმწიფო თანხების ხარჯვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის მიღწევას, ასევე ნეპოტიზმის აღმოფხვრას, კონკურსების გამართული და მეტად სამართლიანი მოდელის დანერგვას, საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კინოს კიდევ მეტად წარმოჩენას, კერძო ინვესტიციების მოზიდვაში ხელისაშვილი მხარდაჭერას, კორპორატიული სფეროს ხელშეწყობას, ახალი თაობის კინოხელოვანთა ხელშეწყობას და, საბოლოო ჯამში, კინოცენტრის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის გაძლიერებას.

ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, არასერიოზულად გამოიყურება ზოგიერთი განცხადება იმასთან დაკავშირებით, თითქოს კინოცენტრის რეორგანიზაცია და მისი გაძლიერების პრობლემატიკა კინოს დარგში ცენზურას ისახავდეს მიზანს. მოცემულ უსაფუძვლო განცხადებებთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკურად ანგაჟირებული პროცესის ნაწილია და ერთ-ერთი თემატიკური პოლიტიკური ჯგუფის თვისებებს ქართული კინოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული ნაბიჯია, თავის მართლებას არაფერს აპირებს არც ახლა და არც მომავალში.

როგორც 2023 წლის 7 ივნისს წარადგინა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მის მიერ 2022 წელს დარგის მოწვეული სპეციალისტების მიერ შემუშავებული სახელოვნებო განათლების რეფორმა ფართო საზოგადოების წინაშე დისკუსიისათვის, ასე იქნება ამ შემთხვევაშიც. სამინისტრო კინოხელოვნებთან შეხვედრების სერიას ბუსტად ისევე გამართავს, როგორც ეს მოხდა თეატრის შესახებ კანონისა და სახელოვნებო განათლების რეფორმების შემთხვევაში, როდესაც არაერთი თვის მანძილზე დარგის სპეციალისტების ჩართულობით შექმნილი ჯგუფები სამინისტროსთან ერთად მუშაობდნენ არაერთი საჭირობო საკითხის გადასაჭრელად. მხოლოდ, კინოს შემთხვევაში, პირველ ეტაპზე საჭიროა, თავად კინოცენტრის სურდეს რეფორმა ქართული კინოს ინტერესების გათვალისწინებით, იყოს ამისათვის მზად და, საკუთარი თავით ტკბობის ნაცვლად, საკუთარი თავის ჩაყენება თანამართლდეს სურდეს ყველა თაობის კინოხელოვანის სამსახურში მის ხელს არსებული ფინანსური, მიუროკრატული, საერთაშორისო და სხვა რესურსები. ვთვლით, რომ ტელევიზიონი და მეგობრობით მოგვარებული საქმეები არ არის მდგრადი სისტემა და ამგვარი სისტემის არსებობა ზიანს აყენებს ქართულ კინოსა და შემოქმედებით თავისუფლებას. მოცემულ და სხვა თემებზე კონსტრუქციული დიალოგისათვის სამინისტრო სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან და პირთა ჯგუფთან სამუშაო შეხვედრებს მიმდინარე კვირის ბოლოს დაიწყებს.

**კინოცენტრის დროებითი მმართველი**

გამოხსენებული რეორგანიზაციის პროცესში, რომელიც სამომავლო რეფორმის მიზანშეწონილია წინაპირობაა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ აუცილებლად ჩათვალა დროებითი მმართველის სახით, კინოცენტრის დირექტორის მოვალეობის ტექნიკურად შესრულება სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფრო-

**კულტურის სამინისტრო  
კინოცენტრში მიმდინარე  
პროცესებთან დაკავშირებით  
განცხადებას აპრესლებს**



**სიმაკრილა,  
გოლოდ სიმაკრილა!**

სის, მატონი კობა ხუმბაიასთვის ეთხოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც სამინისტროსათვის, ვერც მინისტრისა და ვერც კობა ხუმბაიასთვის უარყოფითი ეპითეტები შემოაღწერილი რეფორმის გზაზე შემაფრთხილებელი ფაქტორი ვერ იქნება.

ამასთან, გარდა უარყოფითი ეპითეტებისა და შეურაცხყოფისა, ბოლო დღეებში, გაისმა განცხადება იმასთან დაკავშირებითაც, თითქოს კობა ხუმბაია ციხეში მუშაობდა მადრაგად. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო განცხადებით პატივისცემას ყველა იმ მადრაგს (ესკორტის თვისებებს), პენიტენციური სისტემის კონტროლიორს, სამედიცინო პერსონალსა და ნებისმიერ სხვა თანამშრომელს, რომლებიც, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე სამაგალითო სტანდარტით იყავნ პატიმრების უფლებების ჩვენს პენიტენციურ დაწესებულებებში. სწორედ მათი შრომის შედეგია ის, რომ ქართულმა პენიტენციურმა სისტემამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. შესაბამისად, დღეს უწოდო ვინმეს მადრაგი, ჩვენს თვალში მხოლოდ კომპლიმენტია. ეს სიტყვა კომპლიმენტად არ ითვლება მამის, როცა, 2012 წლის ოქტომბრიდან, ქართული ციხეებში სისტემური დანაშაული, მათ შორის, პატიმრებზე ძალადობა და წამება იყო გამთავისებელი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი და მისი მოადგილეები, პროკურატურისა და სასჯელაღსრულების სისტემების მემგობით, პირდაპირ ძალადობდნენ ქართველ ხალხზე. ერთ-ერთი ასეთი მოადგილის უშუალო განემოყვას წარმომადგენელი დღემდე მართავს კინოცენტრს კინოსა და შემოქმედებით თავისუფლებისათვის მიუღებელი მეთოდებით, რის გამოც მისი თანამდებობიდან გათავისუფლება კინოცენტრში „ცენზურის“ ან კიდევ ადამიანის უფლებების დარღვევად ვერ იქნება აღქმული. ასევე, ვერ იქნება დაწინაურებული ის ნაბიჯი, რომელიც კინოცენტრის მმართველობით რეგულარულად მოქმედებდა, ე.წ. სამინისტროს კვლევის გაუქმებას გულისხმობს. რეორგანიზაციის მიზანია სწორედ ეს არის.

დავუმზუნდეთ მატონ კობა ხუმბაიას, რომელსაც დღეს უკვე კომპლიმენტად ქცეული სიტყვა მადრაგი არ შეეფერება, რადგან მსგავს პოზიციებზე არასოდეს უმუშავია. მატონი კობა ხუმბაია 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებს და მისი ამ თანამდებობიდან გათავისუფლება არ იგეგმება. შესაბამისად, ის დღესაც ვერ შეასრულებს კინოცენტრში მისთვის ამჟამად დაკისრებულ ფუნქციებს. სამინისტრო მადლიერია, რომ ის დათანხმდა, განა-

ღამავალ პერიოდში ტექნიკური და ამავდროულად სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და ფინანსურ-ეკონომიკური ფუნქციები ეკისრა კინოცენტრში ამ უკანასკნელის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ქართული კინოს ზოგიერთ გულშემატკივარს განეუზარებთ, რომ მატონი კობა ხუმბაია პროფესიონალი ეკონომისტი. ის სხვადასხვა დროს გახლდათ ეკონომიკური სამსახურის მრჩეველი და ეკონომიკური სამსახურის უფროსი სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სააგენტოს უფროსის მოადგილე ეკონომიკური მიმართულებით სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, საფინანსო დეპარტამენტის უფროსი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში და ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი საქმის ცოდნითა და პატიოსნებით.

**მმართველობის ხარვეზები და კანონდარღვევები**

საზოგადოებას გვინდა შეგახსენოთ, რომ მატონი კობა ჩხეიძის ხელმძღვანელობის პერიოდში კინოცენტრში აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევები სამინისტრომ ჯერ კიდევ 2022 წლის 15 მარტს გაასაჯაროა.

მანამდე კი, 14 მარტს კინოცენტრის მაშინდელი დირექტორი, მატონი კობა ჩხეიძე თანამდებობიდან გათავისუფლდა მის მიერ დაშვებული არაერთი კანონდარღვევის გამო და მისი საქმიანობის შესახებ აუდიტის დასკვნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის. მატონი კობა ჩხეიძის საქმიანობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევები ეხებოდა, სხვებს შორის, ფინანსური სახსრების არასათანადო ხარჯვას, შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სისტემატური დარღვევის ფაქტებს, კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებს, ცალკეული კონკურსანტების მიმართ არაობიექტური და არასამართლიანი მიდგომის ფაქტებსა თუ ისეთ დარღვევებს, რაც მიუთითებდა კინოცენტრში არსებული მენეჯმენტისა და ფინანსური სისტემის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. შედეგად, საქართველოს გენერალურ პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის-სამართლებრივი დევნის სამართლებლო დაიწყო გამოძიება (სს №074020522803) კინოცენტრის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნებით.

ამასთან, აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებისა და მათი შემდგომში თავიდან აცილების მიზნით, აუდიტის დეპარტამენტის მიერ კინოცენტრის მიმართ გაიცა 18 რეკომენდაცია. თუმცა, ბოლო ერთი წლის მანძილზე კინოცენტრმა ოთხჯერ მომართა სამინისტროს სამოქმედო გეგმის წარმოდგენისა და მათი შესრულების ვადების გადაწესების თხოვნით. ამჟამად 7 მნიშვნელოვანი რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებულია. საგულისხმობია, რომ შეუსრულებულ რეკომენდაციათა ნაწილი ეხება საექსპერტო კომისიების დაკომპლექტებას, კომისიის წევრთა შერჩევასა და მათ მიერ ობიექტური შეფასების კრიტერიუმებს. ცალკე და ღია მსჯელობის საგნად უნდა იქნეს დაუსრულებული ფილმების თემაც. მხოლოდ 2019 წლიდან 2021 წლის პირველ კვარტალში დაფინანსებული ფილმებიდან შეჩერებულია 22 ფილმის წარმოება. ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს მიზეზები და დაისახოს მათი აღმოფხვრის გზები. თუ აღმოჩნდება, რომ კინოცენტრში წლების მანძილზე ზოგიერთი გამარჯვებული პროექტის მიუხედავად არასათანადო შეფასება ხდებოდა, ან რეალური დასაბუთების გარეშე, ან კიდევ ე.წ. ჩაწყობით ხორციელდებოდა მათი ჩამარცხების ვადის არაერთგვაროვანი გადავადება თუ თანხის დამატება, უნდა დაინერგოს ისეთი სისტემა, რომელიც გამოიყენება მსგავს ნაკლოვანებებს მომავალში. თუ აღმოჩნდება, რომ დაუსრულებული ფილმების სრული ოდენობა ან გარკვეული ნაწილი ობიექტური მიზეზების გამო ვერ დასრულდა, აუცილებელია, დაინერგოს მექანიზმი, რომელიც კინოცენტრს აქცევს ამგვარი პროექტების ხელშეწყობის ინსტრუმენტად და არა - ავტომატურად ჯარიმების დამრიცხველ ორგანოდ.





ქინოსტრის თანამშრომლები

წმინდანიანების პროცესში, კინოსტრში დასაქმებულნი ყველა თანამშრომელი მიმდინარე წლის 12 ივლისამდე ინიციატივით თანამშრომლად და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ამბოხის მოტივით არ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას-მოვალეობებს, ყველა მათგანი შესაბამისი გასამრჯელოს შეუფერხებლად იღებს. არცერთ თანამშრომელს არ ჰქონია და არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას თუ შენობაში შესვლასთან დაკავშირებით. ამის მაგალითია თუნდაც აღმინისტრაციული დეპარტამენტის ამჟამინდელი უფროსი მატონი კონსტანტინე ჩლაიძე, რომელსაც რეორგანიზაცია სავსებით არ ეხება, ის ამის შესახებ ინფორმირებულია, მაგრამ ტელევიზიების დასახარად მაინც კარზე აკაკუნებს. კადრის მიღმა კი მატონი კონსტანტინე ჩვეულებრივ შუადინის კინოსტრში და აქვს აქტიური კომუნიკაცია მატონ კობა ხუმბაძისთან. ასევე გაუგებარია ერთ-ერთი მოქმედი თანამშრომლის, მატონი ლევან ამბოხიანიშვილის კარზე კაკუნე, რომელსაც ამჟამად არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი პოზიცია უჭირავს კინოსტრში და ორივე პოზიციაზე სამუშაოდ კინოსტრის კარი მისთვის აკუთვნის განრევიც ღიაა. თუმცა, 12 ივლისიდან მას მოუწევს მხოლოდ ერთ პოზიციაზე მუშაობა გამართული მენეჯმენტის პრინციპიდან გამომდინარე, რაც, სავარაუდოდ, უნდა იყოს მისი ვალდებულების მიზნები.

ფიქრობთ, მსგავსი თანამშრომლების მხრიდან უსაფუძვლო განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თითქმის კონკურენტული გამოცხადება მოხდება კონკრეტული თემების მიხედვით, რომ თითქმის კინოსტრში გახდება ხალხისთვის ჩაკეტილი ორგანიზაცია და მსგავსი მითების ტირანდრება საკუთარი შეცდომების გადაფარვას უფრო ემსახურება, ვიდრე კინოსტრსა და ქართულ კინოზე ზრუნვას, რისთვისაც თითოეულ მათგანს მრავალი წელი ჰქონდა.

ყოფილი ქინოსტრის ტერიტორია ალექსანდრის ბაგშირზე

ქართული კინოს მომავალი და გეგმით რეალურად დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, გვსურს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ქართული კინოს მხარდაჭერა და კინოინდუსტრიის აღორძინება, ასევე, ეროვნული კინოსტრის რეპუტაციის ამაღლება სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

